№ 232 ოქტომბერი 28, სამშაბათი 1886 ოქტომბერი 28 სამშაბათი № 232

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მან. 57 კ.

ტფილისი, 27 ოქტომბერი

ეგვიპტის გამო საფრანგეთისა და ინგლისის კინკლაობა, რომელიც ჯერ დიპლომატებურს წრეს არ გადასცდენია, ჰლამის ახალი მალე მისაშველებელი სატკივარი აუჩინოს ევროპასა. მართალია, ყველაფერი უკან დააყენა ბოლგარიის საქმემ, რომელმაც სახელმწიფონი ერთმანეთში დაურია და ამით დრო ახელთებინა საფრანგეთს ეგვიპტის საქმე წამოეყენებინა ინგლისის წინააღმდეგ თვისდა სასარგებლოდ, მაგრამ ეს ეგვიპტის საქმეც დიდი განსაცდელიანია, თუ ინგლისი გაჯიუტდა და აურზაური დაიწყო. საფრანგეთიც, როგორც ეტყობა, არ იშლის თავისას და თუ ესეც გაჯიუტდა და უკან აღარ დაიხია—შესაძლოა საქმე ბურთსა და მოედანზედ მივარდეს გადასაწყვეტად. ამის მომლოდინემ ინგლისმა უკვე გამოაცხადა თავის მინისტრის ლორდ ჩერჩილის პირით ბადფორდში, რომ ინგლისი ხელს იბანს ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმეში, რადგანაც ეგ საქმე უფრო მეტად სხვებს შეეხება, ვიდრე ჩვენაო. ეს რომ ბიკონსფილდის დროს რომელსამე მოხელეს ინგლისისას წამოსცდენოდა სადმე, ხეირი არ დაეყრებოდა და ეხლა კი თვითონ მინისტრიც კი არ უფრთხის. ამის საბუთად ლორდი ჩერჩილი იმას ამბობს, რომ ლორდ ბიკონსფილდის მთავარ-მინისტრობის მერმედ ბევრი რამ ცვლილება მოხდა ევროპის სახელმწიფოთა ერთმანეთთან განწყობაშიო; ევროპა შუა გზაზედ სდგას გაჩერებულიო და მინამ ევროპა ან წინ წაიწევს, ან უკანა, ინგლისი არ უნდა აჩქარდეს და რაიმე განსაზღვრული მოქმედება მოიწადინოსო; მშვიდობიანად დასრულება ევროპის აშლილობისა არამც თუ ხელს შეუწყობს ინგლისის შინაურ წარმატებასა, არამედ საგარეო საქმეებშიაც დიდს შემწეობას აღმოგვიჩენსო. ამაზედა ვსთქვით, კვირანდელს ნომერში, რომ ინგლისმა მაღალი ბაიათი ხმა-დაბალ ღიღინად შესცვალაო.

ეს ლორდ ჩერჩილის მოტკბილებული აზრი რომ დღევანდელს საქმეთა გარემოებას შევუწონოთ, მიზეზს მოტკბილებისას აშკარად დავინახავთ. საქმე იმაშია, რომ ეგვიპტის გამო საფრანგეთი არ ეშვება და ინგლისსა ჰსურს ყოველ შემთხვევისათვის მოცლილი იყოს პასუხის გებისათვის და არსად არ იყოს გაბმული. ინგლისი არას გზით არ ნდომულობს ეგვიპტის ხელიდამ გაშვებას და ცარიელი სურვილი ვერას გახდება, თუ ზურგიც მაგარი არა აქვს. ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმეში გაბმა კი ბორკილი იქნება მისთვის. ინგლისისათვის ეგვიპტე მეტად ძვირფასი რამ არის. ეგვიპტე ევროპიდამ თითქმის ინდოეთის კარია და ინდოეთი ერთი იმისთანა სამფლობელოა ინგლისისათვის, რომელითაც იგი თითქმის სცხოვრობს და სულდგმულობს.

არც საფრანგეთს უღირს ნაკლებად იგივე ეგვიპტე. და ამიტომაც ჩასციებია ინგლისსა, გამოდი და ეგვიპტე თავის ბედს მიანებეო. ინგლისი ამაზედ მეტად შორს არის. ინგლისის მეტად განვლენიანი გაზეთი „Times“-ი გადაჭრით ჰლაპარაკობს ამ საგანზედ. იგი ამბობს, რომ სამართალი, რომელიც ინგლისს მიუძღვის ეგვიპტის საქმეში, უცილობელია. ამ სამართლის ძალით ინგლისს ნება აქვს, როცა თვითონ დაინახავს საჭიროდ, მაშინ გამოიყვანოს ეგვიპტიდამ თავისი ჯარები და არა სხვის ვისიმე სიტყვითაო. ნამეტნავად საფრანგეთს აქ ხელი არა აქვს, იმიტომ-რომ როცა არაბი-ფაშამ აშალა ხალხი, მაშინ საფრანგეთმა უარი სთქვა ინგლისთან ერთად იმოქმედოს არაბი-ფაშის დასამორჩილებლადა, და მარტო ინგლისმა დააწყნარა თავის ჯარებითა არაბი-ფაშა და მისი მომხრენიო. „საფინანსო პოლიტიკის გარე ჩვენ ვერ ვიყაბულებთ საფრანგეთის გარევას ეგვიპტის საქმეშიო, ამბობს იგი გაზეთი: თუ საფრანგეთს ოდესმე ჰქონდა მაგისი უფლება უწინ, ეხლა მაგ უფლებაზედ ხელ აღებულია, რადგანაც 1882 წელს ხელი არ გამოიღო და ამით თვითვე უარ-ჰყო თვისი უფლებაო.“

ერთის სიტყვით, „Times“-ის ფიქრით, საფრანგეთს არავითარი სიმართლე არ აძლევს ნებას, რომ რაიმე მონაწილეობა მიიღოს ეგვიპტის საქმეში და ცალკემ, მარტომ ასტეხოს ეგ საქმეო. „ჩვენ იმედი გვაქვსო, ამბობს „Times“-ი, როცა ჩვენი მინისტრი ლორდი იდსლეი ამაზედ დაუწყობს ლაპარაკს საფრანგეთის ელჩს ვადდინგტონს, ჩვენს ნათქვამს არ დაივიწყებს და გადაჭრით ეტყვის, რომ როგორც ჩვენი საკუთარი ინტერესი, ისეც ერთა შორისი, რომელიც ინგლისზედ არის მონდობილი, ინგლისს ავალებს, რომ თვითონ იყოს გამკითხავი მისი თუ,—როდის იქნება შესაძლო ეგვიპტიდამ გამოვიდესო.“ ლონდონის კორრესპონდენტი ვენის გაზეთის „Politische Correspond.“-ისა იწერება, რომ ინგლისი გუნებაშიაც არ იტარებს თავისის ნებით ეგვიპტედამ გამოსვლას. „აქ კიდევ იმედი აქვთო, ამბობს იგი: რომ სახელმწიფონი ამას მხედველობაში იქონიებენ და თავს ძლიერ არ გამოიდებენ ინგლისის წინააღმდეგ, ნამეტნავად ამ დროს, როცა რუსეთის უდიდესი ინტერესი ბოლგარიაა და არა ეგვიპტეო. ბოლგარიას ინგლისი მეტად გაუგრილდა და ფიქრადაც არა აქვს ბოლგარიის საქმეში ამას იქით გაერიოსო.“ კორრესპონდენტის სიტყვით, ინგლისი არასფერს დასთმობს ეგვიპტეში, თუნდა ამისათვის ომიც მოუხდესო.

ერთი ინგლისის გაზეთი „Dailly Chronicle“-ი უფრო მკვახედ ჰლაპარაკობს. იგი პირ-და-პირ ამბობს, რომ ინგლისმა იმიტომ კი არ შეალია ეგვიპტეს მილლიონები და თავის შვილების სიცოცხლე, რომ ეგვიპტე აიღოს და სხვას დაულოცოსო. ეს ამოდენა მსხვერპლი განსაკუთრებულს მდგომარეობაში აყენებს ინგლისსაო. გარდა ამისა დათმობა ეგვიპტისა და ინდოეთზედ ხელის აღება ერთია ინგლისისათვისაო. ინგლისი უფრო მალე ყველაფერს გასწირავს და ეგვიპტეს კი არავის დაუთმობსო.

ცხადია ეხლა ჭაპანი რამოდენად დაჭიმულია ინგლისისა და საფრანგეთ შორის. ცხადია ეხლა ინგლისს რად უნდა სხვა საქმეები საზოგადოდ და ბოლგარიისა ცალკე თავიდამ მოიშოროს; მას ჰსურს, რომ საფრანგეთისაგან მოსალოდნელს განსაცდელს ხელ-გახსნილი დაჰხვდეს. ძნელი გამოსაცნობია, რასაკვირველია, საფრანგეთი როგორ მოაწყობს თავის საქმეს გერმანიასთან და თუ აქ საქმე გაირიგა და ზურგი მოიმაგრა, შესაძლოა დღეს ერთმანეთზედ აღურსულნი საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთს აუტოტდნენ კიდეც. ესეთი ყოფა ინგლისისა და საფრანგეთისა ზოგს აქეზებს და ზოგს თავის ქერქში აყენებს ევროპაში.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს განუზრახავს გამართოს ჩვენ ქვეყანაში სასოფლო სამეურნეო და სხვა-და-სხვა სახელოსნო სკოლები. თუ ეს კეთილი აზრი თავადისა განხორციელდა, ჩვენ სამშობლო ქვეყანას დიდი სიკეთე მიეცემა და ჩვენის ერის კეთილ-დღეობა საბედნიეროდ შეიცვლება. მართლა და ჩვენს ქვეყანას ეხლა ამისთანა სკოლები ძალიან ეჭირვება. სკოლებისთვის თურმე საშუალებაც არის მოპოებული.

ფელეტონი

ფშაური ლექსები

(შეკრებილი გაგა-ფშაველასაგან)

თოვლი სთოვს ბოროლაშია,
მზევ, რად არ ამოჰშუქდები?
შავო რას დამეეფ, ყორანო,
განა შენთვისა ვსუქდები?!
შინვე მიუვალ დედასა,
თუ ღმერთსაც არ მოვმულდები.

—

ბარჩი ნაგდებო, ირემო,
გესულნებიან მთისაკე;
ეგრევ შენ, ქალო ლამაზო,
კარგის, მამაცის ყმისაკე.

—

როსტომ სთქვა, ერთი ქართული
ჩინეთს ქვაზედა სწერია:
«ვისიც მე ვიყავ ერთგული,
ის უფრო ჩემი მტერია.»

—

მთას თოვლო, ჭალას ყინულო,
გასწყერ, გამიშვი შინაო,
დავწირე წვრილი ობლები,
არამც რამ დამაშინაო.

—

ამ მთაზედა ყორნები
უსხდომლად არ იშლიანო;
რა ვქნა რომ არ გამოგხედო,
თვალნი არ დაიშლიანო.

ჩვენი მიწერ-მოწერა

ძმაო და მეგობარო ანჩისხატელო!

დიდს გამოურკვეველს მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ვფიქრობ, ვსჯი, ხან აქეთ ვატრიალებ, ხან იქით, ვერც თავი გამიგია და ვერც ბოლო. ამ სოფელ მეტიჩრიანთკარში ვერავინ მიპოვნია ამიხსნას და ნათლად მაჩვენოს, თუ ეს ბოლგარია რა არის და ამდენს ლაპარაკს რა ჰქვიან?

მე ხომ ამ მიყრუებულ სოფელში ვზივარ და ერთი გაზეთი მამდის „ივერია“. აღარ მაცლიან გადაკითხვასა, კარზე ყარაულებივით მიდგანან. სულ უკანასკნელი ათიოდე სახლს მოატარებენ და ერთ ამბავში არიან. მოდიან, თავს მესხმიან და მკითხავენ: ეს რა არის, ის რისაგან უნდა იყვესო, რა მოსდევს ამასაო, ეს რათა სწერია და რისთვის დაუწერიათო? მედავებიან, ერთ ყალმაყალს მიმართავენ, თითქოს მე ვიყო ამისი დამწერიო. მანდ, შეილოს, ეგ ქალაქელი მწერლები, რა ვიცი, რა ჯანაბის იქითა გაზეთებიდამა ბეჭდენ რაგინდარაებსა და ხათაბალაში მე ვარ. დღეს ერთს იძახიან, ხვალ სხვასა. დღეს იძახიან მაწონი თეთრიაო, და ხვალ —შავი ყოფილაო; ახლა ზეგ კიდევ თეთრდება. ასე მომაბეზრეს ამ ჩვენის სოფლის პოლიტიკოსებმა, ბარემ გაზეთზე ხელი ამაღებინონ! შენ მარტო ჩვენი მცნობი ოთხი მაიორი იფიქრე, რა ყოფაში უნდა ვიყო იმათგან. ამათ გადაწყვეტილი აქვსთ კიდეცა და ამბობენ ძველებურ სამხედრო სიმღერას: «იზ ტურეჩინი ვო ნემეჩინუ, იზ ნემეჩინი ვო ტურეჩინუ.» ახლა ბატონო ბაასი ჩამოუვარდებათ, ეს ბოლგარია ხომ ბოლგარიააო; ბატენბერგია რაღა უნდა იყოსო? მერე კიდევ: ბოლგარია სტამბოლს აქეთ არის, თუ სტამბოლს იქითაო? დიდი მოკითხულობა ჩამოვარდა ჩვენს სოფელში გეოგრაფიულის ქარტებისა. ვერას გავხდით, ვერც რუსული ვიპოვეთ, ვერც ქართული. (რა იქნება „ივერიამ“ ერთი გეოგრაფიული ქარტა დაგვიხატოს თავის ფურცლებზე ამ ჯანაბის ქვეყნის თვალით დასანახავად.)

ახლა ამას წინად ქალაქიდამ ერთი მედუქნე ამოვიდა და ამბავი მოიტანა: ბიძა ბალდასარას კაზეთაში წაუკითხავს, ინგლისი ომს აპირობსო და ასეთი გემები მოუგონია, სულ წყალში ძირ-ძირ დადისო. თურმე ერთი რაღაც ღილიეითა აქვს, ახალ-მოდის ზარის დასარეკსავით, თითს დაადებენ თუ არა, მთელი გემი თავის ჯარიანათ და ზარბაზნებით ჩაიძირება, ილლის ილლის ზღვაში, და ერთიც ვნახოთ, მტკვარში კუკიის ხიდთან თავს ამოჰყოფს ან ალაზანში შაქრიანთან. მეორე ამბავიც კიდევ: აქამდინ ხომ საომარ გემებს ფოლადს და რკინას აკრავდნენ, ახლა ნახეს რომ ზარბაზანს ვერ უმაგრდება, აუღიათ და უფრო კარგი რამ მოუგონიათ: გემებს რკინის მაგიერათ ლორის ტყავს აკვრენ და ზედ სანთლის ქონს უსმენ. ზარბაზნის ყუმბარა თურმე რაკი მიეა, სხლტება და გვერდზე გაცურდებაო.

ამისთანა ამბავი ჩამოვარდა აქაურობაში, რომ თუმცა ბიძა ბალდასარას ამბავს დასცინოდნენ, მაგრამ საქალამნეს ფიქრი მიეცათ აქაურ გლეხებსა. აბა სად ბოლგარია და სად ჩვენი საქალამნე. თქვენ-კი სიცილად არ გეყოფათ, მაგრამ ეს ამბები ისევ მანდ ქალაქიდამ მოდის. მე ასე ვფიქრობ, ქართულმა გაზეთმა იქნება დაივიწყა როგორმე ესეები და არ გვაცოდინა მეთქი. მაგრამ აბა რა დასავიწყია. ხუმრობა-გაშვებით, იქნება ისეთი ამბებია სხვა ენის გაზეთებში, რომ არ გვაგებინებს „ივერია“ და ამის გამო ეს ბოლგარიის ამბებიც კარგა არ გვესმოდეს. შენ დღე-გრძელობას, მაცოდინე ყოველივე გარემოება, მანდ უნდა იცოდეთ: ქალაქში ხომ მრთელი ქვეყნის გაზეთებსა კითხულობთ.

დაგშთები შენი უმორჩილესი ძმა და მოსამსახურე პაატა.
სოფ. მეტიჩრიანთ კარი,
ღვინობისთვის 10-სა.

⁂

ძმაო პაატავ!

ნეტა ვიცოდე, რა გაგიშვია და რას ეძებ? სად პოლიტიკა და სად მეტიჩრიანთ-კარი. აქაო და გაზეთებს

⁂ რიცხვი ქართველთა მოსწავლეთა ამ ჟამად კიევის მაღალ სასწავლებლებში სულ რვაა.

ამათ შორის ხუთი—ბ. ბეზირგანაშვილი, ს. მესხი, ა. გელოვანი, გ. ქუთათელაძე, მ. ლორთქიფანიძე, უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე არიან, დანარჩენნი სამნი—ჰიჰინაძე, ოქროპირიძე, ტყემალაძე—სასულიერო აკადემიაში.

⁂ 25 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატას გაურჩევია სოფ. ენისლის რვა გლეხის საქმე, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგობა ჰბრალდებოდათ. ეს გლეხები, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ადრე ოლქის სასამართლომ გაამართლა; ამ გარდაწყვეტილებას პროკურორი არ დასთანხმდა და აპელაცია გადიტანა სამოსამართლო პალატაში. პალატამ გლეხები დამნაშავედ იცნო და დაადგინა: გლეხებს სდომებიათ მთავრობის წინააღმდეგობა, ხოლო აღსრულებაში ვერ მოუყვანიათ თავისი განზრახვა იმ მიზეზით, რომ მთავრობამ დროზედ შეუტყო და საჭირო ღონე იღონა მათ წინააღმდეგ. სასამართლომ შემდეგი სასჯელი გადაუწყვიტა დამნაშავე გლეხებს: მჭედლიშვილსა და ცაცაშვილს ჩამოერთვას ზოგიერთა უფლებანი და ერთის წლით დაპატიმრებულ იყვნენო; პავლიაშვილს და ჯონჯოლაძეს დაპატიმრება ექვსის თვის ვადით და დანარჩენ ოთხს გლეხს—ოთხის თვის ვადით.

⁂ ამ რამდენისამე დღის წინად, ღამე, რამდენიმე ყმაწვილი-კაცი შესულა ტილიპუჩურას დუქანში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, და ქეიფი დაუწყიათ. ქეიფის დროს ერთს მოქეიფეთაგანს ახალგაზდა პრაპორშჩიკს 152-ტე ვლადიკავკავის პოლკისას შენინგს ჯერ ქალების სადღეგრძელო დაულევია, შემდეგ კუბოების გამკეთებლისა და ბოლოს ერთის გვერდზე მჯდომ ამხანაგისათვის ხანჯალი ამოუძვრია და თავის მოსაკლავად მუცელში დაუცია. ტფილისის რუსულ გაზეთების სიტყვით, დაჭრილი მაშინვე სახლში წაუყვანიათ, სამკურნალო შემწეობა აღმოუჩენიათ, მაგრამ ისე მაგრადა ყოფილა დაჭრილი, რომ 25 ოქტომბერს, შაბათს გარდაცვლილა. როგორც ამბობენ, ამ საქმის გამო სასტიკი გამოძიებაა დანიშნულიო.

⁂ ტფილისის საზოგადოების ნაცნობი მომღერალი ქალი ე. ი. ასლამაზოვისა, ქ-ნის ვიარდოს შეგირდი, ამ დღეებში უკანასკნელს კონცერტს გაჰმართავს ტფილისის კლუბის დარბაზში.

⁂ სოფ. საჭილაოთგანა სწერენ გაზ. «კავკაზსა»: წლევანდელი წელიწადი დიდხანს არ დაავიწყდებათ შორაპნისა, რაჭისა და ქუთაისის მაზრის მცხოვრებელთ. ეს წელიწადი ყოველ-მხრივ უბედური წელიწადი იყო ამ მაზრების მკვიდრთათვისაო. ერთი რიგიანი დღე არ დაგვდგომია მთელის წლის განმავლობაშიო. დადგა თუ არა ეს წელიწადი, თან მოჰყვა ციება და საქონლის ავადმყოფობაო და ღვინისა და სიმინდის მოუსავლობით თავდებაო. ჩვენის გლეხების ერთად-ერთი საცხოვრებელი სახსარი ღვინო და სიმინდიაო. ისეთი ცუდი მოსავალი იყო წლეულს სიმინდისა, მაგალითებრ, რომ ბევრმა ის ამჯობინა, რომ სიმინდი სრულიად არ მოეკრიფაო. წლევანდელის მოუსავლობის გამო, უეჭველია, სიმინდისა და პურის ფასი ძალიან აიწევსო.

⁂ ამავე გაზეთსა სწერენ ფოთიდამ: რომ ფოთში სასულიერო სასწავლებელია და ამ სასწავლებელში 500 სულამდე მოსწავლეაო. ამ ერთის წლის წინად საქალებო სკოლის მასწავლებელმა-ქალმა შეადგინა პატარა ხორო და მშვენივრადაცა გალობდენ, მაგრამ ბოლოს, არ ვიცით რა მიზეზით, ესენიც დაიშალნენო. სასურველი იქნებოდა, რომ ვისმეს ეთავა ეს საქმე და სამუდამო ხორო შეედგინა მგალობლებისა ეკკლესიისათვისაო. ეს საქმე მით უფრო სასურველი, რომ ხალხი უფრო სიამოვნებით დაიარება, როცა ეკკლესიაში ხორო გალობს და ბევრს მლოცავსაც იზიდავს ეკკლესია ამ დროსაო.

⁂ კახეთითგანა სწერენ გაზ. «მშაკსა»: ყურძნის მოკრეფას უკვე მორჩნენ კახეთშიო. წლევანდელი ღვინო მეტად მჟავე და უგემური გამოდგა. ვისაც ადრე ერთი ურემი ღვინო მოსდიოდა, ეხლა ათი მოუვიდა; მაგრამ რა გამოვიდა, ისეთის მდარე ღირსებისაა, რომ არავინ არა ყიდულობს. კახური ღვინო წელს თუმცა კაი ფერისაა, მაგრამ გემოთი და სუნით კი ვერ ვიტყვით, რომ კარგი იყოსო და ამიტომაც წელს კახეთში ღვინო ძალიან იაფიაო.

ნაკვესი

ერთის კაცს ზვარში შეიპარა თურმე ქურდი და დაუწყო ყურძენს კრეფა. ამ დროს შეუტყო პატრონმა და თუმცა ახლო ვერ მიჰბედა მისვლა ქურდთან, მაგრამ შორითგან დაუწყო კითხვა სომხურად:

— ეს ოვეო?

—მე ეხლა მოკველო! მოსცა ხმა ქურდმა.

— ინჩეო?—დაუყვირა პატრონმა.

— ბუდეშურს ვირჩევო! უპასუხა ქურდმა.

— აი, გალისიმო! ფეხების ბრაგა-ბრუგით დაუყვირა პატრონმა.

— მე კალთა გავიმსეო და ეხლა კალთაში უნდა დავიკრიფოვო, უპასუხა ქურდმა.

ჯავრ მოსულმა სომეხმა დაუწყო დანძღვა-გინება ამ შეუპოვარ ქურდს და, სხვათა შორის, ცოდი უხსენა:

— „გნიგნეო?“

ქურდს ასე ეგონა, —გიბენო:

რაო? მიგბენო!... მოგლიჯა ჭიგო და დაუწყო პატრონს ცემა და თან ეძახოდა: აბა თუ მიგბენო?

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კარდანეხი. მეტის-მეტი იქნება, სთქვას ადამიანმა, რომ სასოფლო თვით-მართველობა უვარგისი წეს-წყობილებააო. იმაზედ უკეთესი რა იქნება ეხლანდელ დროში, რომ შენს საკუთარს სასოფლო საქმეს შენ თანამოძმეებთან ერთად განაგებდე ისე, როგორც ძალა და ღონე შეგწევს. კარგად მოაგვარებ შენ საქმეს, თუ ავად, პასუხის-მგებელი მაინც შენ თითონა ხარ. თვით-მართველობა, ვიმეორებთ, საუკეთესო საშუალებაა ჩვენის გლეხ-კაცობის საქმეების მოსაწყობად, მაგრამ ყოველი ახალი რამ დროს შესაფერ მომზადებას და განვითარებას თხოულობს.

სასოფლო საქმეებში ყველაზე მომეტებულად საჭიროა ერთობა და თანხმობა. იქ, სადაც სოფლის საზოგადოებაში არ არის თანხმობა, სადაც ყოველი წევრი ერთ-გვარად არ არის საქმის გულ-მოდგინე, ძნელია, რომ რაიმე კარგი და პატიოსნური საქმე მოგვარდეს.

ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა ჩვენი სოფლის კაცი გულ-მოდგინედ მოეკიდება სასოფლო საქმეს. დღეს თითქმის ყველა სასოფლო საქმე კეთდება არა მთელის სოფლის თანხმობით, არამედ რამდენისამე სოფლის კაცის ნება-ყოფლობით. თუ სოფელში კაცს ცოტა გავლენა აქვს და სიტყვით თუ სხვა რაიმე საშუალებით სოფელში მცირედი სახელი მოიხვეჭა, როგორც უნდა ისე დაატრიალებს ყველა სასოფლო საქმეს. იშვიათად მოხდება, რომ მის წინააღმდეგ რამე სასოფლოზე სთქვას ვინმე. სოფელი შეიძლება კარგადაც გრძნობდეს, რომ მათი რაიმე დადგენება არა შესაფერ ხარჯს გადაახდევინებს და არა სასიკეთოდ დატრიალდება, მაინც ჩუმად არის. რათა? იმიტომ, რომ ამ გვარად არის იგი წინა დღითვე მომზადებული.

ყველა ეს მომეტებულად თვით საკუთარ სასოფლო საქმეების გადაწყვეტაში მოხდება ხოლმე, რადგან სოფლის ჭკუაზე დამრიგებელთ კარგად იციან, რომ აქ კბილებს არავინ გაუსინჯავთ.

ყველა ზემო ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არავინ ჩამოგვართვას, საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ სოფელი რა გვარად იჩენს ხოლმე თავის დაუდევრობას საკუთარ სასოფლო საქმეში. ეს დაუდევრობა, რასაკვირველია, შესაფერ ხარჯს ახდევინებს, ყოველ შემთხვევაში, სოფელს...

წარსულ ზაფხულში სოფ. კარდანეხის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მრევლმა ამოირჩია სანდო კაცები. ამ კაცებს მიანდო გაეწერათ მთელ მრევლზე ახალის ეკკლესიის ასაშენებლად ფული. ამორჩეულნიც შეიკრიბნენ და დიდის ფიქრისა და ანგარიშის შემდეგ გაწერეს ფული. ყველა მამა-კაცს მრევლში ცხრა-ცხრა მანათი შეჰხვდა. ზემოხსენებულის ეკკლესიის მრევლს შეადგენს 572 სული მამათ-სქესი, მათში 55 მცირე წლოვანია. დანარჩენ 517 სულს შეაწერეს ცხრა-ცხრა მანათი. მაშასადამე ანგარიშით გამოვა, რომ მთლად მრევლზედ გაუწერიათ 4653 მანათი მაშინ, როდესაც ეკკლესიის შენობა უკვე მიცემული ჰქონდათ იჯარით 3000 მან. და იჯარადარმა უკვე ჩაავლო საძირკველი ეკკლესიისა. ასე და ამ რიგად 3000 მან. ეკკლესიის აშენებაში აძლევენ და თუ 1653 მან. რაღა ზედნადებია, ეს ღმერთმა უწყის. ნუ თუ ეს ფული შრომის ფასად გადიდო. ცალკე ყველა ბევრსა ჰყვირის და ერთად კი თავს არ უდებენ, რომ შეიტყონ: რად და რისთვის ერთმევა ამოდენა მეტი ფული მრევლსა... ნუ თუ ეს დაუდევრობა არ არის?!

ეს ვსთქვათ კერძო მრევლის საქ-

კითხულობთო, პოლიტიკის ამბავი უნდა გვაცოდინოთო, მრთელ დედამიწის ზურგზე რა ამბავი ხდებაო? გაზეთის კითხვას აღარა ვჯერვართ, ქარტები დაგვიხატეთო, ამ ქართულ გაზეთს აღარა ვკმაყოფილდებით, სხვა გაზეთები რას ლაპარაკობენ ბოლგარიაზეო?

შე დალოცვილო რო ჩამცივებიხარ, რატომ იმას აღარა მკითხავ, მე კი ვიცი რამე? ჯერ ერთი ესა, ხომ მოგეხსენება ამ ანჩისხატის უბანში აქამდის ვერავინ მოაგნო, ან ბოლგარიაში, ან სხვა ადგილს სადმე, მცირესა ანუ დიდს სახელმწიფოს მინისტრად ანუ ვეზირად მივეწვიე რომ სახელმწიფო საიდუმლო საქმეებში გამდობოდა ვინმე. აბა მაშინ შემეძლო იმ საიდუმლო მოსაზრებათაგან გადაკეთებით, შერეულად და ორჭოად რაიმე მცირედი, პაწია რამ ამბავი შენთვისაც მეზიარებინა დიდის სიფრთხილით. მაგრამ რას იზამ რომ დღეს ეს ამბავი ასე არ გახლავს: არც მინისტრი ვარ, არც ვეზირი და ვკითხულობ ამ (შენი თქმისა არ იყვეს) მრთელის ქვეყნის გაზეთებსა. ვკითხულობ დილით საღამომდისინ, მაგრამ შენი მტერი იყოს იმ ყოფაში, რა ყოფაშიაც მე ვარ! თუ როდისმე კრწანისსა და ორთაჭალაში ყოფილხარ, ლხინში და ზურნა-ნაღარის კვრაში კი არა, მარტო ცალკვთა მჯდარხარ და ყური გიგდია ჩარხის ტრიალისთვის, ხომ გსმენია ის მაღალ-დაბალი ჭრიალ-ზუილი რომ გააქვს ჩარხსა: ზ.. ზ.. ზ... უ...უ...უ. და კიდევ და კიდევ ზ... ზ...ზ...უ...უ.უ... გაუთავებელი, მოსაწყენი, ისე რომ ბოლოს გულს მიგილევს. გაზეთების ლაპარაკიც იმასა ჰგავს. მაგრამ გულის მილევას ვინა სჩივის, ნეტა რამეს მართალს გამორჩებოდე. ამბობენო, ფიქრობენო, მოსაზრებააო, და მკითხველის ყოფა სწორეთ მოლა ნასრადინის ერთის არაკის ხალხსა ჰგავს, გაცრუებული რომ შეჰყურებდნენ.

მეიდან-ბაზარში მივიდა მოლა ნასრადინი, ნახა ხალხი აქა-იქ შეჯგუფულა და ნებიერად, წყნარად ლაპარაკს შეექცევა. მოუნდა მათი შეფუცხუნება. ჩამოუარა მღელვარებით და გულ-აჩქარებულის კითხვით:

— ახალი ამბავი არ შეიტყეთ, ახალი ამბავი არ იცითო?

შეიქნა აყალ-მაყალი და მოასქდა ხალხი ამბის წყურვილის მოსაკლავად სწორედ ისე, როგორც ბოლგარიის ამბების მკითხველები.

— არა, არ ვიცით, არ ვიცით; აბა თქვი, რა ამბავია; გვითხარიო.

— მაშ არა გცოდნიათო?! რა კაცები ყოფილხართ, აქამდის არ შეგიტყვიათო! ადგა და გამობრუნდა.

დარჩა მრთელი მეიდან-ბაზარი პირ დაღებული.

— შეხე ამ (შეუკურთხეს) ქოფაკ მოლა ნასრადინს, რა ოინი გვიყოო! მოდი პირობა დავდვათ, ხვალ რო ჩამოიაროს და გვკითხოს ახალი ამბავი, ასე ვუთხრათ, ვიცით, ვიცით-თქო. აგება გულმა არ მოუთმინოს და თავათა სთქვასო.

მართლა მოვიდა მეორეთ მოლა ნასრადინი და ჩაუარა ბაზრის ხალხსა:

— ახალი ამბავი იცითო?

— ვიცითო, გავიგეთო, უთხრეს და თან სული მისდით, აბა რას გვეტყვისო.

— ჰო, რახან გცოდნიათ, რაღა გითხრათო! ადგა და გამობრუნდა.

დარჩნენ სახტად მობაზარ-მომეიდნენი.

— კიდევ ცარიელები არ დავრჩით და ვერა ვათქმევინეთ რაო!

ბევრის ფიქრისა და განსჯის შემდეგ, თუ როგორ გამოათქმევინონ ახალი ამბავი, ასე გადასწყვიტეს:

— მოდი ესე ვქნათ: ბერი მოლა რო მოვიდეს, შუაზე გავიყვნეთ; ერთმა მხარემა სთქვას ვიცით, მეორემ— არ ვიცით-თქო, და უეჭველად გამოვათქმევინებთ ამბავსაო.

მოვიდა ბერი მოლა ნასრადინი:

— იცით ახალი ამბავიო?

— ვიცითო, ერთს მხარესა სთქვეს. არ ვიცით, არგაგვიგიაო, ისმოდა მეორეს მხარესა.

— რახან არა გცოდნიათო—უთხრა არ მცოდნეთა და მიუბრუნდა მეორეს მხარეს,—მაშ თქვენ უთხარითო. გამობრუნდა და გულ დაწყვეტილი დააგდო ამოდენა ხალხი.

მთელის ქვეყნის გაზეთის მკითხველებიც ამ ყოფაში ვართ გაზეთებისაგანა. ვერაფერი გამორკვევით ვერ გაგვიგია ამ ბოლგარიისა. ვიცით რომ ახალი ამბავია და კი არ ვიცით, რა ამბავია. შენ ჩამცივებიხარ, გვაცოდინე რამეო. აბა საიდამ რა გაცოდინო?

ნეტა ვიცოდე, რას ჩამცივებიხარ? ნუ თუ შენ, ძველ მილიციებში ნამყოფს, თოფის წამლის სუნი მოგსურდა და სამზადისში ხარ, როგორც ადრე შამილისაკენ ან ყარსისკენ რო გასწევდი, ახლაც ერთი კიდევ შეათამაშო სისხლი მაგ დასვენებულ ძარღვებში? თუ ან შიშობ, სიძვირე არ ჩამოვარდესო; ან იმედიანათა ხარ, პურის ფასმა იქნება აიწიოსო? ჰე მეგობარო! არავინ უწყის ომის ამბავი. მხოლოდ ერთმა უცნაურმა მეგაზეთემა, გვარათ მეშჩერსკიმ ამ ახლო ხანებში სთქვა: «ომი არ იქნებაო, რადგანაცა რომაო მაგაზინიანი თოფები იოხტურო.» არ ვიცი ავსტრიელებზე, ინგლისელებზე, თუ ოსმალებზე ამბობდა ამასა. ახლაც არ დამშვიდდები და კიდევ არ დაწყნარდები.

გამოსდგომიხარ ამ ოხერ პოლიტიკის ამბავსა. რა გეპოლიტიკება? თქვენის სოფლის ამბავი შეგვატყობინო და გვიამბო, ის არა სჯობია? რას აკეთებთ მაგ მიყრუებულ სოფელში, ნუ თუ არა ხდება რა ან მთისა და ან ბარისა ისეთი, რომ ჩვენც გვიამოს; ან სკოლა არ იმართება, ან სასოფლო ბანკი, ან პურის მაღაზია, ან ერთი და ან მეორე. ხნა-თესვა რა ღონეზეა, მეურნეობის და ოჯახობის საქმე ვითარს წარმატებაშია, ნასწავლი კაცები გემატებათ, თუ გაკლდებათ? აი ესენი მამწერე. თორემ შენც იმას მელაპარაკები, რასაც მუდამ დღე გაზეთები ჩამძახიან და ჩამჩიჩინებენ.

უკაცრავათ ნუ ვიქნები ამ მკვახე პასუხზე, მაგრამ ხომ იცი, მართალი მიყვარს და არც შენა ხარ ამაზე მწყრალათა.

შენი ძმათ საგულვებელი
ანჩხატელი

მეა; მაგრამ აი მეორე ამბავი, რომელიც მთელს სოფელს შეეხება...

სასოფლო სასწავლებლის ახალი შენობა სოფელს დაუჯდა მთლად 2900 მანათი. ეს ფული მისცეს სადურგლოშიაც, საკალატოზოშიაც, გალესვაშიაც და მთლად ყველა შენობის საჭიროებაში.

ამ ფულში სოფელზედ იყო გაწერილი 2,500 მან. მომეტებული და არა ნაკლები. სახელმწიფოთ მიეცა სოფელს ამავე საქმისთვის 592 მან., მაზრის უფროსმა შესწირა სამაზრო ფულებიდამ 178 მან. სულ გამოდის, რომ 3,270 მან. იყო გადადებული ამ საქმისთვის. სად გაქრა 770 მანეთი? ამას არავინ კითხულობს... ასე ცოტ-ცოტობით შრება სასოფლო ფულები. ორი და სამი სუქდება და სოფელი კი ტყავდება.

წარსულ საქმეს არა ეშველება-რა, მაგრამ ახალს კი, მგონი, რომ უყურადღებოდ დატოვება არ უნდა. სად არის ეს 1,653 მანათი, რომელიც ხარჯს გადაჰრჩა. კარგი იქნება, არ დაიკარგოს, მით უფრო, რომ ეხლა ეკკლესიის კანკელია გასაკეთებელი და ეს ფული დაიხსნიდა ხალხს ხელ-ახლად ფულის გამოღებისაგან.

ი. კახელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი ‹Новости› ამ დღეებში დიდად ჰხარობდა და იმედოვნებდა, რომ გემების გაგზავნა ვარნაში ასე თუ ისე დააფიქრებს ბოლგარიის მმართველებს და დღევანდელს აწეწილს საქმეებს ბოლოს მოუღებსო. დღეს კი თითქმის იმედმიხდილი ლაპარაკობს:

> რას იზამენ ბოლგარიის მმართველები, რას მოახერხებენ, როდესაც რუსეთი გარდაწყვეტილს სიტყვას ეტყვის,—წინადვე ამის თქმა ძნელია. მთელი იმათი პოლიტიკა, პირველ დღიდამ დაწყობილი, ისეთი წინ დაუხედავი და უგუნური იყო, რომ არავის გააკვირვებს, დღესაც მოულოდნელი რამ გამოატყვრინონ. შეიძლება საქმეში ისიცა ჰქონდეთ, რომ განგებ მთელ ბოლგარიაში არეულობა ასტეხონ იმ განზრახვით, რომ რუსეთმა თავის ჯარები უთუოდ ჩააყენოს და ამ გზით ევროპა შარიონ საქმეში. არ გვესმის, მაგალითად, რა განზრახვით წავიდა ბოლგარიის სამხედრო მინისტრი ნიკოლაევი ვარნაში. თუ იმიტომ, რომ პატივი ეცა ჩვენის გემების უფროსებისთვის, მაშინ უკეთესი იქნებოდა სხვა ვინმე მოსულიყო და არა ნიკოლაევი, რომელიც რუსეთის მეგობრად ვერ ჩაითვლება ან იქნება ნიკოლაევი იმიტომ მოვიდა ვარნაში, რომ წინაამდეგობა გაგვიწიოს, თუ ვინიცობაა რუსეთი მართლა გარდაწყვეტილად საქმეს შეუდგა, როგორც ჩვენმა კონსულმა ბოლგარებს გამოუცხადა. თუმცა ასეთი განზრახვა, თუ მართლა ნიკოლაევს ასეთი განზრახვა აქვს, დიდი უგუნურობა იქნება, მაგრამ რას არ უნდა მოველოდეთ ბოლგარიის მმართველებისაგან, მეტადრე როდესაც ასეთი დიდი იმედი აქვთ ევროპისა.

არ გვესმის გაზეთის შიში და ეჭვი: განა დღეს შეიტყო გაზეთმა ბოლგარიის მმართველების განზრახვა და წადილი ან ევროპიის აზრი? თუ რუსეთს გარდაწყვეტილი აქვს ჯარები ჩააყენოს ბოლგარიაში, ეტყობა ყველაფერი წინადვე აწონილი და გაზომილი ექმნება....

⁂

რუსეთის შაქრის მწარმოებელნი ტირიან და ჩივიან, რომ ჩვენი საქმე ცუდად მიდის, ვიღუპებითო. ამიტომ მოსვენებას აღარავის აძლევენ, მთავრობას შემწეობას და ათას გვარ შეღავათსა სთხოვენ თავიანთ საქმეების გასასწორებლად. ჟურნალი ‹Стрекоза› ოხუნჯობს და ასე გვიხატავს შაქრის მწარმოებლების სურვილს. შაქრის მწარმოებლებს ჰსურთ:

1) რომ რაც ქვეყანაზე ხალხია, თვით არაბისტანელებიც კი, უთუოდ შაქარ შიგ ჩაგდებულ ჩაისა ჰსვამდნენ და ამასთან ისე, რომ ერთ გირვანქა წყალზედ უთუოდ ნახევარი გირვანქა შაქარი მოდიოდეს.

2) რომ ყველა ქალაქებში, რაც კი დედა-მიწის ზურგზე მოიპოვება, ქვის სვეტები მოისპოს ქუჩებში და ამათ მაგიერ შაქრის სვეტები ჩაიდგას.

3) რომ ყველა ქალმა, როდესაც კაცზე გული შეუვარდება, იმის მაგიერ, რომ გაუღიმოს და თეთრი კბილები უჩვენოს, უთუოდ თეთრი შაქრის თავები მიართვას ხოლმე.

4) რომ ყველა დაჭრილმა და დაშავებულმა შაქრის წყალი იხმაროს ხოლმე წამლადა და არა სხვა სველი რამ დასადები.

5) კიდევ, რომ მარილი ყველგან ამოაგდონ, ხმარებაში აღარ იყოს და ამის მაგიერ ყველგან შაქარი იხმარონ.

უცხოეთი

ბოლგარია. დიდი საერო კრება შესდგა 19 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ. ბოლგარიის რეგენტებმა და მინისტრებმა თავისი მაინც არ დაიშალეს, არ დაჰყვნენ რუსეთის სურვილს, რომ დიდი საერო კრება გადაიდოსო, და ვერც ოსმალეთის მუქარამ, რომ თუ რუმელიის დეპუტატები მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერო კრებაში, აღმოსავლეთ რუმელიას დავიჭეროთ, შეაშინა და თავი ვერ დაანებებინა დიდ საერო კრების შედგენის განზრახვას. ამის გამო გაზ. „Новости“ ამბობს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა ყოველთვის ჩვენი წინააღმდეგი ყოფილა და არისო. მაგალითებრ, ბარონ კაულბარსმა გაუგზავნა ბოლგარიის მთავრობას ნოტა და ამ ნოტით სთხოვდა: 1) გაუქმებულ იქმნენ შიშიანობის წესნი. 2) განთავისუფლებინათ დაპატიმრებული ოფიცრები, და 3) გადაედოთ დიდი საერო კრებაო. ჯერ დიდხანს ურჩობდა ბოლგარიის მთავრობა, წინააღმდეგობას გვიწევდა და ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა ბ-ნ კაულბარსთანაო. ბოლოს, რის წვალებით და ტანჯვით, გააუქმა შიშიანობის წესნი. ეხლა მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ჩვენი მეორე სურვილიც აღასრულოს და დაპატიმრებული ოფიცრები გაანთავისუფლოს, მაგრამ შიშიანობის წესნი კი ისევ აღუდგენიაო. ამას გარდა ჩვენს მესამე სურვილსაც წინაღუდგა მთავრობა ბოლგარიისა და აგერ დღეს, როგორც დეპეშა მივიღეთ, დიდი საერო კრება აქვს დანიშნულიო. ნუ თუ ჯერ არ აესებულა ფიალა მოთმინებისაო, კითხულობს ეს გაზეთი.

— ტირნოვოში დიდი საერო კრება უნდა შესდგეს. ამ ამბავმა გაზეთები გამოაფხიზლა და ეხლა იმაზედ დაიწყეს ლაპარაკი, თუ ვინ ამოვარჩიოთ ბოლგარიის მთავრად, პრინც ალექსანდრეს მოადგილეთაო. მაგალითებრ, გაზ. „Times“-ის ვენელი კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთსა: «ბუდაპეშტის გაზეთები აცხადებენ, რომ ავსტრო-ვენგრია წინააღმდეგობას გამოაცხადებს, თუ ბოლგარიის ტახტზედ მთავრად ან ნიკოლოზ ჩერნოგორიელს და ან პეტრე ყარაგიორგიევიჩს ამოირჩევენო. აქ კი ამბობენ და არც ბუდაპეშტის, არც ვენის გაზეთები არ გვიხსნიან, თუ რითი და როგორ უნდა დაბოლოვდეს ბოლგარიის საქმე. უმეტესი ნაწილი ამ გაზეთებისა იმ აზრისაა, რომ რუსეთი ჯერ-ჯერობით საქმის მსვლელობას ადევნებს თვალ-ყურს და თუ საქმე უფრო-და-უფრო მეტად გამწვავდა, ან ალექსანდრე ოლდენბურგისას და ან მის შვილს ამოირჩევს მთავრად და ამ საშუალებით დროებით დაამშვიდებს ბოლგარიის საქმესაო. რუსეთის სახელმწიფო კაცთა კარგად იციან, რომ ბოლგარიის მთავრად ამორჩევა არც ისე ბევრისათვის არის სანატრელიო და პრინც ალექსანდრეს მოადგილედ ამორჩეული მთავარი, თუ უნდათ რომ რუსეთის ერთგული იყოსო, გულ-მაგარი, ყველაფერში გამოსადეგი და ჭკვიანი კაცი უნდა ამოირჩიონო. თუ არა და, თუ იმისთანა მთავარს ამოვირჩევთ, რომელიც ორის წლის უკან იძულებული იქმნება თავი დაანებოს ტახტსა, ეს ხომ რუსეთის მასხარად აგდება იქმნებაო. ამ შემთხვევაში ევროპაც რუსეთის აზრისაა და ევროპის ინტერესებიც იმასა თხოულობს, რომ ბოლგარიის ტახტისათვის სუსტი მთავარი არ იქმნეს არჩეული. მთავარ ყარაგიორგიევიჩის ამბავი დაწვრილებით არ ვიცით და რაც შეეხება-კი მთავარ ნიკოლოზ ჩერნოგორიელს,—ეს მთავარი პოეტიც არის, ჯარის-კაციც და დიპლომატიცაო; მხნე, მამაცი, მშვენიერის ყოფა-ქცევისა და ზრდილობიანი. ჩერნოგორიელი მეტისმეტად უნდობის თვალით უყურებს პარლამენტებს და არა გგონია, რომ ლიბერალ-მართველი იყოს ბოლგარიისა; ჩერნოგორიელი ადვილად მოიპოვებს მკვიდრთა სიყვარულს და ჯარის პატივისცემას და იმდენად თავისებური კაცია, რომ თუ გინდა რუსეთის მიერაც იყოს არჩეული, ისე მოახერხებს საქმეს, რომ სხვას არ ჩარევს ბოლგარიის საქმეებში და დამოუკიდებელი იქნება თვითონაც და თავის ახალ სამშობლოსაც დამოუკიდებლობას მიანიჭებსო. რაც შეეხება ინგლისს, თქმა არ უნდა, რომ ინგლისი ავსტრიის თანახმა არ არის, რომ სუსტი მთავარი ამოვარჩიოთო და უფრო ის ურჩევნია, რომ მთავრად მოსაქმე და გამჭრიახი კაცი იქმნას ამორჩეული. რამდენადაც მაგარის ხასიათისა, თავისუფლებისა და პატივის მოყვარე იქმნება ახალი მთავარი, იმდენად უფრო დამოუკიდებლად დაიცავს ბოლგარიას...

ბიბლიოგრაფია

ქართულის წერის დედანი, ვ. გაბიჩვაძისა. ტფილისი 1886 წ. ფასი 30 კაპ.

ჩვენმა მოზარდ თაობამ რომ ლამაზი წერა არ ისწავლოს, დიდის საყვედურის ღირსი იქნება და ჩვენ რომ არ ვიცოდეთ—ეს საკვირველი არ არის: მოზარდ თაობას დღეს თვალწინ უძევს იმ გვარი წერის ნიმუშები, რომლის შემწეობით შეუძლიან საკმაოდ შეისწავლოს ლაზათიანი წერა. უწინ ეს ძნელი იყო: დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, ყველა ადვილად ვერ ჩაიგდებდა ხელში ისეთს დედანს, რომ კარგის წერის შესწავლა შესაძლებელი ყოფილიყო: კარგის წერის მცოდნე მოიპოვებოდა შიგა-და-შიგ მხოლოდ სამღვდელო პირებში, სახელდობრ, ბერებში, რომლების ხელშიაც თითქმის მთელი ჩვენი მწიგნობრობის საქმე იყო. ვისაც კი უნახავს ძველი ქართული ხელთნაწერი, იმას ეცოდინება, რასაკვირველია, რომ ეს წიგნები ერთი მეორეზედ უკეთესის ხელით არის ნაწერი. ხოლო ეს გარემოება იმას კი არ ჰნიშნავს, რომ უწინ ყველას საზოგადოდ ასეთი წერა სცოდნია—ეს დიდი შეცდომა იქნება: უწინ ძლიერ ცოტანი ყოფილან ლამაზის წერის მცოდნენი და ამ „ცოტათა“ შორის მხოლოდ უკეთესთ ეკუთვნის ის ნაწერები, რომელიც დღეს ჩვენ ასე გვაკვირვებს თავის შნოთი და სილამაზით, აი რა საბუთით.

მოგეხსენებათ, რომ უწინ წიგნების ბეჭდვა არ იცოდნენ; წიგნის ყიდვა ძლიერ საძნელო იყო და იშვიათადაც ჰხდებოდა: ვისაც რომელიმე წიგნის შეძენა ჰსუროდა, იმას უეჭველად უნდა წიგნი გადაეწერინებინა; გადამწერს იგი, ნება-უნებლიედ, აძლევდა იმოდენა საფასს, რამოდენაც ჩვენს დროში იმავე წიგნის ნახევარ ანუ მესამედ დაბეჭდვას დასჭირდება, ცხადია, რომ რაკი კაცი ამოდენა ხარჯს გაიმეტებდა, გადამწერსაც უკეთესს მოსძებნიდა; შესაძლებელია, რომ ხშირად გადამწერს ასეთს პირობასაც ჩამოართმევდნენ ხოლმე: თუ წიგნი ლამაზად და სუფთად იქნება გადაწერილი, მაშინ შრომის ფასსაც მეტს მოგცემთო, თუ არა და დაგიკლებთო. ჩვენს დროში ამ გვარი პირობა მესტამბესა და გამომცემელს შორის ხომ აუცილებელია და რომ უწინაც ასეთი რამ ყოფილიყო, საკვირველი არ არის. რასაკვირველია, თუ გადამწერს ასეთს პირობასაც ჩამოართმევდნენ, იგი ეცდებოდა საქმე კეთილ-სინიდისიერად აღესრულებინა, რომ უფრო მეტი ჯილდო დაემსახურებინა.

შეცდომილია აგრეთვე ის აზრი, ვითომ ჩვენს დროში არავის არ შეეძლოს ისეთი წმინდა და ლამაზი წერა, როგორიც სცოდნიათ უწინ; ისეთი წერა ეხლაც ბევრს შეუძლიან (მაგალითებიც ვიცით), მაგრამ ამას არავინ არ მისდევს, არა სცდილობს, რადგან არც საჭიროება მოითხოვს,—არა, ლამაზი და გარკვეული წერა ხომ ეხლაც საჭიროა და ყოველთვისაც იქნება საჭირო, მაგრამ მე ვამბობ იმისთანა წმინდა, ასხმულ წერაზედ, რომლის ნიმუშსაც ძველს ხელთნაწერებში ვხედავთ. საქმე აი რაშია: ეხლანდელს ჩვენს წერას უფრო დროებითი მნიშვნელობა აქვს, მაშინდელს კი სამუდამო; უწინ წიგნს დასწერდნენ, ანუ გადასწერდნენ და მაშინვე იგი ხმარებაში ჩავარდებოდა, იგი საუკუნოდ ხელთ ნაწერად დარჩებოდა და ხელთ-ნაწერს უნდა ქვეყანა შემოევლო; დღეს კი სწერენ და ამ ნაწერს თვით ავტორის და ასოთ-ამომწყობის მეტი ვერავინ ვერა ჰხედავს: ნაწერი იბეჭდება და მხოლოდ დაბეჭდილი წიგნი ვრცელდება საზოგადოებაში. თქმა აღარ უნდა, რომ ამიტომ ჩვენს დროში არც ერთი ავტორი ანუ გადამწერი ისე არ ჩააციედება თვითეულს ასოს, არ ეცდება მის მეტის-მეტად კოპწიოდ გამოხატვისათვის იმიტომ, რომ თავი მოაწონოს ერთად-ერთს ასოთ-ამომწყობს, რომელსაც მხოლოდ ეს ხელთ-ნაწერი ხელში ჩაუვარდება. შეიძლება ამაზედ მიპასუხონ: ყველა ნაწერი ხომ დასაბეჭდად არა მზადდებაო; ეს მართალია, მაგრამ მაინც ყოვლად შეუძლებელია თუნდ კერძო მიწერ-მოწერის გულისათვის ძველს ხელთ-ნაწერებს მივბაძოთ და ვეცადოთ იმ გვარივე წერა შევისწავლოთ, როგორსაც იმათში ვხედავთ. აი რა მიზეზით: ეხლანდელის მეთოდის თვალით რომ შევხედოთ ჩვენგან მოწონებულს ძველ ხელთ-ნაწერებს, ამათ ‹ნაწერები› კი არა, „ნახატები“ უნდა ვუწოდოთ. ამაში მალე დარწმუნდება კაცი, თუ მცირეოდნად დააკვირდება ძველის ნაწერების თვითეულს ასოს და საზოგადოდ მათ ხელს. ის პაწაწინა, მძივეივით ასხმული, ზედი-ზედ მიმსხდარი ასოები იმის უტყუარი ნიშანია, რომ მათ დამწერს არა ერთი და ორი საათი დაუკარგავს, ვიდრე ერთის ფურცლის დაწერას მოასწრობდა.

ცხადია, რომ როდესაც შენ ერთი სიტყვის დაწერას ნახევარ საათს მოუნდები, მაშინ კი არა სწერ—ჰხატავ თვითეულს ასოს.

ეს არც საკვირველია, თუ მივიღებთ მხედველობაში, ვინ და როდის სწერდა. როგორც ზემოდაც ვსთქვით, ჩვენი ძველი ხელთ-ნაწერები მომეტებულ ნაწილად ბერების ხელით არიან დაწერილ-გადაწერილნი; უკანასკნელნი თავისუფლად, უზრუნველად ისხდნენ მონასტრებში,—საქმე ცოტა, დრო ბევრი. რასაკვირველია, თითო ფურცელს თითო დღე რომ მოსდომებოდნენ, ისინი სინანულში არ იქნებოდნენ და არც არავინ მათ საყვედურს ეტყოდათ. ეხლა დროსთან ერთად ცხოვრების პირობები შეიცვალა. ჩვენს დროში ლუკმა პურს ვერ იშოვის ისეთი გადამწერი, რომელიც ერთის პატარა წიგნის გადაწერას ერთსა და ორ წელიწადს მოანდომებს; ვერა საქმეში ვერ გამოდგება ისეთი კაცი, რომელიც ერთის პატარა ფურცლის დაწერას სამი და ოთხი საათი მოუნდება; ცხოვრება თხოულობს ლამაზს, მაგრამ ამასთან მარდს, გაკრულს წერას.

ეს ორი მოთხოვნილება შეადგენს ორს უმთავრესს პირობას თანამედროვე წერის მეთოდისას; კარგ დედნადაც ამ ჟამად ის ითვლება, რომელიც უფრო მტკიცედ იცავს ამ ორს უკანასკნელ პირობას.

ჩვენ საზოგადოებას უკვე ეცოდინება, რომ გარდა ბ. გაბიჩვაძის დედანისა ამ ჟამად კიდევ გვაქვს ვრცელი დედანი პატივცემულის ი. ს. გოგებაშვილის-მიერ შედგენილი; მაგრამ როგორც ბ. გაბიჩვაძის დედნის გამოსვლა, აგრეთვე სხვა ახალის დედნის დაბეჭდვაც არასოდეს ჩვენთვის მეტი ბარგი არ იქნება. რაც მეტი რაიმე სახელ-მძღვანელოები ექნება საზოგადოებას თვალ-წინ, იმდენად მეტი ღონის-ძიებაც ექნება უკეთესი ამორჩიოს. ერთი სახელ-მძღვანელო მეორის ნაკლულევანებას შეავსებს და ამ გვარად ადვილი შესაძლებელია საქმე ჯეროვნად წავიდეს.

საქმის წარმატებისათვის ფრიად საჭიროა საზოგადოებას ამ შემთხვევაში დაეხმაროს პირ-უთვნელი, მიუდგომელი კრიტიკა. აი ეს გვაიძულებს, ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ბ-ნ ე. გაბიჩვაძის ახალის დედნის შესახებ.

თუმცა ზედ არ აწერია ბ-ნ გაბიჩვაძის დედანს, მაგრამ იგი მეორე გამოცემაა. რატომ არ აწერია ‹მეორე გამოცემა›—ეს ავტორის საიდუმლოა და არც საჭიროდ ვრაცხთ შევუდგეთ ჩვენ ამის გამოძიებას. დედანს სულ 23 გვერდი აქვს. შინაარსის მიხედვით მთელი დედანი შეიძლება შეიდს

პატარა ნაწილად განიყოს: ა) მაჯისა და თითების სავარჯიშონი და ქართულის ასოების ელემენტები (1-ლი გვერდი), ბ) მსხვილი მრგვალი ხელი (2—8 გვ.), გ) საშუალო ზომის მრგვალი ხელი (9—14 გვ.), დ) წმინდა მრგვალი ხელი (მე-15 გვ.), ე) ნუსხური ჩვეულებრივი (მე-16 გვ.), ვ) ნუსხური დახრილი (17—19 გვ.) და ზ) მარდი ანუ გაკრულის წერის სავარჯიშონი (20—23 გვ.).

ალ. მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

25 ოქტომბერი

ჟურჟევო. ტირნოვოდამ გვაუწყებენ, რომ გუშინ დეპუტატების უფლებათა შემოწმება გაათავეს და ხუთი წევრი ამოირჩიეს კამისიაში, რომელთაც უნდა შეადგინონ ადრესი სარეგენტოს მთავრობის სიტყვის პასუხად. მთავრობა უარზეა, თანამდებობას თავს არ ანებებს და თავის პროგრამას მტკიცედ ადგა. აღმოსავლეთ რუმელიაში დიდი არეულობაა. ბურგასში შიშიანობის წესია დადგენილი. ბენდეროვი და გრუევი რუშჩუკში მოვიდნენ.

ვენა. გაზ. „Neue Freie Presse"-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდამ: ფილიპოპოლში უკმაყოფილებაა, ამის გამო ფილიპოპოლის მაზრაში შიშიანობის წესია გამოცხადებული. ამაზედ შესაფერი განკარგულებაა მოხდენილი და თვით კარაველოვისაგან არის ხელ-მოწერილი. რადგან საქმე გაშორებულია, სტამბულოვი ცდილობს, რომ ყველა დასები ერთმანერთში მოარიგოს, მაგრამ სტამბულოვს ვერაფერი გაუწყვია, რადგანაც ცანკოვი ხელს უშლის.

«Politische Correspondenz»-ს აუწყებენ ტირნოვოდამ, რომ ბურგასში მომხდარს არეულობას მთავრობის წრეებში დიდს ყურადღებას არ აქცევენ. მაიორი პანიცა, რომელსაც მთავრობისაგან დიდი უფლება აქვს მინიჭებული, ბურგასში წავიდა წესიერების აღსადგენად.

26 ოქტომბერს

პეტერბურგი. მათის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი თავადი დოლგორუკი ელჩად არის დანიშნული სპარსეთში.

ტირნოვო. ბურგასის მეციხოვანეთა უფროსი გუშინ დაბრუნდა ორის რაზმით ქალაქში და წესიერება აღადგინა. ჩერნოგორიის მღვდელი და კიდევ რამდენიმე ჩერნოგორიელი დაპატიმრებულნი არიან. არეულობის მოთავე აფიცერი და კიდევ სხვა საეჭვო აფიცერნი ზღვით გაიქცნენ.

ჟურჟევო. ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ სოფიაში ნაჩვენებმა ნოტა გაუგზავნა და სთხოვს, გვიჩვენეთ კანდიდატი ბოლგარიის ტახტისათვისაო.

საკალენდარო ცნობანი

ოქტომბერი 31 დღით არის.

28 დღე ხამშაბათი. წმ. ტერენტი, დიდ. მოწ. ნეოფიტე ურბნელისა. კათოლ. წმ. სვიმონისა და იუდაი მოციქულ. სომეხ. წმ. მოწ. აპირიქიანთი და მოწ. სევერიან, ბაბილა და სხ. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა საფარ 304 წ. ჰიარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—59. ტფილისში მზე ამოდის 6—42, ჩადის 4—46; მთვარე ამოდის 4—4, ჩადის 3—43. მთვარე 13 დღისაა.

29 დღე ოთხშაბათი. ქალწ. მოწ. ანასტასიასი. კათოლ. 29, 30 და 31 დღის ღვთის მსახურება. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—4. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45; მთვარე ამოდის 4—36, ჩადის 4—41.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» » 2 »	2 1/2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4 1/2 »
» » 2—	3 »
» » 3 »	2 1/2 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4 1/2 »
მე-2 ხარისხისა . .	3 1/2 »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	13 »
ცხვრის ხორცი . . .	6 »

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 61 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	167 მან.	—
5% პირველის შინაურის სესხის მოგები ბილეთი	—	—	239 3/4 მან.
— მეორისა	—	—	
გირავნობის ფურცელნი:			—
ტფილისის ბანკისა	—	97 მან.	—
ქუთაისის ბანკისა	—	97 მან.	221 მან.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15′ წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი. . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

16 მომავალს ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დანიშნულია საგანგებო კრება წევრთა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიანთ მართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება.

(5—4)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, სათავად-აზნაურო ბანკის ქვეშ, არწრუნისეულ სახლებში (подъ помѣщеніемъ Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго банка) ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ისყიდება მოსე ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: გ. ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმობა შაურად.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—23)

ქართული სამეურნეო გაზეთი

„ცისკარი"

1887 წ. იანვრის პირველიდგან გამოვა კვირაში ორჯელ, ხუთ-შაფათობით და კვირაობით.

ამ გაზეთის პროგრამმა არის შემდეგი:

1) მმართებლობის განკარგულება, შესახებ მამულის შემუშავებისა და მამულის მფლობელობისა.

2) სხვა-და-სხვა ცნობები, შესახებ მეურნეობისა. აქ იქნებიან დაბეჭდილნი: ხვნა-თესვა, სოფლიური სახლოსნობა, ხვნა-თესვის იარაღის გაუმჯობესობა, ვენახების უკეთესად მოვლა და ღვინის გაუმჯობესობა; პირუტყვის მოშენება, ფუკრის მოვლა, გამრავლება და საზოგადოდ სასარგებლო მამულის შემუშავების ცნობები.

3) სახალხო ჰიგიენა. ამ ნაწილში შემოვიტანთ იმ ცნობებს, თუ რა გვარად სწამლობენ შინაურად დაჭირების დროსა.

4) ადგილობრივი კორრესპონდენციები სხვა-და-სხვა კავკასიის მხრიდამ. მომეტებით უფრო მამულების მოვლის შესახებ.

5) მოკლე მოთხრობები და ამბავები, რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებიდამ.

6) ფელეტონი: მოკლე ლექსები და წერილები, როგორც ნამდვილნი, ისე ნათარგმნი, იმ გვარნი, რომელნიცა შეიცავდენ ზნეობითსა აზრებსა.

7) მოკლე ცნობები, რომელნიცა ხდებიან როგორც რუსეთში, ისე სამზღვარს გარეთ, მმართებლობის მოანბიდგან გამოკლებულნი.

8) სასმელ-საჭმლის მაზანდა ტფილისში, თუ ადგილობრივ სოფლებში. განცხადებები პალატის და ტფილისის მაზრის სამსჯავროებში დანიშნულს საქმეებზედ, და სხვა-და-სხვა განცხადებები, როგორც სახაზინო, ისე კერძო საქმეებისა, უფრო ისეთის სახაზინო საქმეებისა, რომელნიცა ნარდად (ფოდრათით) ეძლევიან გასაკეთებლად ვაჭარ ხალხსა.

ფასი „ცისკრისა".

ადგილობრივ გაგზავნით, თუ გაუგზავნელად, წელიწადში 6 მან. თვეობით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ცალკე ნომერი „ცისკრისა" ეღირება—ერთ შაურად.

ვისაცა ჰსურს ამ გაზეთის დაბარება, უნდა მიჰმართოს: 1) «ტფილისში, თვითან რედაქციას, ვერის დიდ ქუჩაზედ, წილოსანის სახლებში.

2) გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, სემინარიის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლებში, სადაცა არის თვითან „ცისკრის" კანტორაცა. 3) გრიქუროვის წიგნის მაღაზიას, ხიდის ყურზედ, ზუბალოვის სახლებში.

რედაქტორი ი. კერესელიძე

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე